

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი
რესურსების კომისიის სხდომის

ოქმი N 2

ქ. თელავი

2020 წლის 17 თებერვალი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე: დავით ლაღანიძე

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიორგი ჩაბრაშვილი, ბესიკ გაიპარაშვილი,
გოჩა წაწალაშვილი, ზურაბ მუსაევი, ბესიკ
ქოჩიშვილი, ვასილ არაბული, ალექსანდრე
კუპატაძე, არჩილ თვალაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით
ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი
რესურსების კომისიაში მოწვეული სპეციალისტი დავით ნუსხელიძე,
თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი
მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის
სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი დავით
ქსოვრელიშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური
განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ქონების მართვის
განყოფილების უფროსი დიმიტრი ზაქაიძე.

დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. „მერების შეთანხმებაში კლიმატისა და ენერჯეტიკის თაობაზე“ თელავის
მუნიციპალიტეტის მონაწილეობის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხს. დ. ლაღანიძე

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის N11 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს. დ. ლაღანიძე

მოისმინეს: 1. „მერების შეთანხმებაში კლიმატისა და ენერგეტიკის თაობაზე“ თელავის მუნიციპალიტეტის მონაწილეობის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

აზრი გამოთქვას: დავით ლაღანიძემ აღნიშნა, რომ მერიის მიერ წარმოდგენილი პროექტი ეხება „მერების შეთანხმებაში კლიმატისა და ენერგეტიკის თაობაზე“ თელავის მონაწილეობის საკითხს.

თელავის მუნიციპალიტეტი იღებს ვალდებულებას შეუერთდეს „მერების შეთანხმებას კლიმატისა და ენერგეტიკის თაობაზე“ და 2030 წლისათვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მინიმუმ 30%-ით შეამციროს CO₂ -ის (და სხვა სათბური აირების) ემისია ენერგოეფექტურობისა და ენერჯის განახლებადი წყაროების ათვისების ღონისძიებების საშუალებით, უზრუნველყოს განსაზღვრული ღონისძიებების თანმიმდევრულად განხორციელება.

გადაწყვიტეს: „მერების შეთანხმებაში კლიმატისა და ენერგეტიკის თაობაზე“ თელავის მუნიციპალიტეტის მონაწილეობის შესახებ პროექტი წარედგინოს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს განსახილველად.

მოისმინეს: 2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის N11 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვას: დავით დალანიძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი ეხება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის N11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის საკითხს, კერძოდ დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ის მე-9-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტს ემატება აბზაცი - მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სატრანსპორტო საშუალებებზე გაიცემა სპეციალური საშვი, რომლის ფორმას ამტკიცებს მუნიციპალიტეტის საკრებულო.”

ასევე დადგენილებას ემატება მუხლი 4: რომლის მიხედვითაც „მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე გასაცემი საშვის ფორმა დამტკიცდეს დანართი N5-ის შესაბამისად.”

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის N11 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ცვლილების პროექტი წარედგინოს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარე



დავით დალანიძე